აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ

2016 წლის 8 ოქტომბერს არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების მიზნით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას კომისიები და განისაზღვროს უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობა:

ა) აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია - 8 წევრი;
ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია - 8 წევრი
გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია - 8 წევრი;
დ) საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია - 8 წევრი;
ე) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია - 8 წევრი;
ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია - 8 წევრი.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

№	კომისიის დასახელება	ფრაქცია „ქართული ოცნება"	ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები"	ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარა"	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა	2	2	1	2	1

2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა	2	2	1	2	1
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა	2	2	1	2	1
4	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა	2	2	1	2	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა	2	2	1	2	1
6	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	2	2	1	2	1

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2016 წლის 28 ნოემბერი
№4-უ.ს.პ.ს.